ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2929274

ნომერი: AR1452198

თარიღი : 28.10.2016

გაცემის თარიღი : 18.11.2016

გაცნობის თარიღი : 18.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , I და III მ/რ-ებს შორის , (ნაკვეთი N1/28) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დიმიტრი ვაჩნაძე პ/ნ 01008009697
- ჭავჭავაძის 29-3133 ბინა 67

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მაისის #2625818 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 28

ოქტომბერს #AR1452198 განცხადებით მომართა დიმიტრი ვაჩნაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 31 მაისის #2625818 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მაისის #2625818 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, I და III მ/რ-ებს შორის, (ნაკვეთი #1/28), საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.10.06.001.028), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და 2016 წლის 15 ივნისის #2653145 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 16 ივნისიდან 2019 წლის 16 ივნისის ჩათვლით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 ივნისის #2653145 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს „ჰაუსარტ-ლუქსი“. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882016296472, მომზადების თარიღი: 16/05/2016 წ., ს/კ: #01.10.06.001.028) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჰაუსარტ-ლუქსი“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B16000966; მომზადების თარიღი: 12/01/2016 წ.; ს/კ: #205255551) თანახმად, შპს „ჰაუსარტ - ლუქსის“ დირექტორს წარმოადგენს დიმიტრი ვაჩნაძე.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მაისის #2625818 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 15257.92 კვ.მ–ის ნაცვლად 15258.07 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1910.21 კვ.მ–ის ნაცვლად 1910.18 კვ.მ-ის, ხოლო, საერთო ფართობად 25550.33 კვ.მ–ის ნაცვლად 25550.45 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მაისის #2625818 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მაისის #2625818 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 15258.07 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 1910.18 კვ.მ., საერთო ფართობად - 25550.45 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მაისის #2625818 ბრძანებით შეთანხმებული ყველა გეგმა (გარდა -6.000, -3.000, 0.000, +6.00, +65.400, +68.700 ნიშნულებზე მდებარე გეგმებისა და გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლდეს 2016 წლის 28 ოქტომბრის #AR1452198 განცხადებით წარმოდგენილი ყველა გეგმით (გარდა -6.000, -3.000, 0.000, +6.00, +65.400, +68.700 ნიშნულებზე მდებარე გეგმებისა და გადახურვის გეგმისა);
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მაისის #2625818 ბრძანების სხვა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 მაისის #2625818 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.